1877—1898

№ 57

კვირა, 15 მარტი, 1898 წ.

**ფასი გაზეთისა:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

# ივერია

№ 57

კვირა, 15 მარტი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

„ივერია“

გამოვა 1898 წელსაც

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტ ფ ი ლ ი ს ი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიას
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა და
ბაქოში, სიდდეგელის წიგნის მაღაზიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ქალანთაროვის ქარვასლის პირ-და-პირ.

ტელეფონი № 227.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ**. Редакція „ИВЕРІА“.

თ. ილია ჭავჭავაძის იუბილეის გამო ქართველთა ამხანაგობამ მოსახერხებლადა სცნო დააიფოს მის მიერ გამოცემული თხზულებანი

**თ. ი. გ. ჭავჭავაძისა,**

რათა ყველას მისცეს საშუალება მათი შეძენისა.

დაკლებულ ფასად გაიყიდება წიგნები მხოლოდ 12 აპრილამდე და შემდეგ-კი ისევ წინანდელ ფასად გაიყიდება.

პირველი ტომი გაიყიდება . 70 კ.
მეორე „ „ . 60 „
მესამე „ „ . 60 „
მეოთხე (ორი წიგნია) 1 მან. 20 „

და ოთხივე ტომი ერთად 3 მანეთად.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ გაეგზავნებათ მხოლოდ მაშინ, თუ ფოსტის ხარჯს გამოუგზავნიან ამხანაგობას, I ტომზედ 16 კ., მეორეზედ 16 კ., მესამეზედ 16 კ. და მეოთხეზედ 24 კაპ.

წიგნები ამ ფასად მხოლოდ ამხანაგობის კიოსკში იყიდება.
ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, ალექსანდროვის ბაღის თავში.

(15—6.—6)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) საშარდეს ავადმყოფობანი.

**ჟ. მ. ჩაქოგანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

**ა. ზ. კარაშეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** დღით 1½—2½ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ა. მ. ბულიძოვი.** 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(წ)

## მთავრობის განკარგულებანი

გამწესებულ იქმნა ნაპოლეონ (იგივე პლატონ) ხუნდაძე—ზემო-აჭარის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების ფოსტალიონად.

გადაყვანილ იქმნენ მე-VIII თანრიგის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელენი: ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის კოლეჟსკი სეკრეტარი რომანოზ მუსხელიშვილი—ონის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში და ონის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების კოლეჟსკი რეგისტრატორი შენგელია—ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში.

# ახალი ამბავი

⁂ ტფილისში ჩამოვიდა გრაფი ევგენი ზიჩი, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინად იყო საქართველოში იმის გამოსაკვლევად, არის თუ არა რაიმე ნათესაობა ქართველებსა და უნგრებს შორის. გრაფს ზიჩის თან ჩამოჰყვნენ დისწული ბანგიდი, ბუდა-პეშტის საზოოლოგიო მუზეუმის ასისტენტი ჩიკი, ეტნოლოგი იანკო, ეტნოგრაფი პაკაია და ორი პრეპარატისტი. გრაფ ზიჩის აზრადა აქვს გამოიკვლიოს, სად არის უნგრელთა სამშობლო და ამ აზრით ის ყველა იმ ადგილებს დაათვალიერებს, სადაც-კი ოდესმე უნგრელების წინაპართ უცხოვრიათ. ყველა ის, რაც გრაფ ზიჩიმ კავკასიაში პირველ მოგზაურობას დროს გამოიკვლია და შეიტყო, ცალკე წიგნად დაწერა და პეტერბურგში ყოფნის დროს რუსეთის იმპერატორს მიართვა. ამ წიგნში მოთავსებულია ცნობები სხვათა შორის, კავკასიის ერთა შესახებ. ხელმწიფე იმპერატორი დაჰპირდა გრაფს რუსეთის იმპერიაში მოგზაურობის დროს მფარველობას გაგიწევო. ტფილისში ზიჩი რამდენსამე დღეს დაჰყოფს, შემდეგ ბაქოში წავა, ხოლო იქიდგან ასტრახანით სამარაში, საიდგანაც ჩინეთსა და იაპონიაში გადავა.

⁂ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი შუამდგომლობს, რომ გადადებულ იქმნას 85,000 მანეთი ტფილისში ტელეფონის საქმის გასაუმჯობესებლად.

⁂ როგორც უკვე უწყიან ჩვენმა მკითხველებმა, პეტერბურგიდგან გამოგზავნილმა ბეითალმა ბ-ნმა ვიენიკოვმა დააარსა ატენის ხეობაში განსაკუთრებული სადგური, სადაც მეცნიერულად გამოსცდიან საქონლის ჭირის აცრას. ვიენიკოვი იმუშავებს პროფესორის ნენცკის ხელმძღვანელობით, რომელიც მაისში ჩამოვა.

⁂ პეტერბურგიდგან ცნობა მოვიდა, რომ ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაციის მიერ აღძრული შუამდგომლობა ზოგიერთ სასოფლო ქსენონთან უმცროსს ფერშლების თანამდებობის დაარსების შესახებ შეწყნარებულ იქმნა შინაგან საქმეთა სამინისტროსაგანაო.

⁂ ნაადგომევს ტფილისში ჩამოვა ტანტის ცირკი და წარმოდგენების მართვას დაიწყებს იმავე შენობაში, რომელშიაც ჰმართავდა წარმოდგენებს სური.

⁂ ის კომისია, რომელიც ქალაქის ქონებას აფასებს, რათა საკომლო გარდასახადის ნაცვლად სახლის პატრონებზედ განაწილებულ იქმნას ახლად შემოღებული, ესრედ წოდებული სახელმწიფო გარდასახადი, მუშაობას ამ თვის გასულს დაამთავრებს. 15 აპრილამდე კომისიის მუშაობა წარედგინება ტფილისის სახაზინო პალატას, ხოლო პირველ ივლისიდგან უკვე შემოღებული იქმნება ეს გარდასახადი. ტფილისში ეს გარდასახადი დაედება 7,442 მამულს. ხოლო რაც შეეხება ქუთაისისა და ერევნის გუბერნიებში ამ გარდასახადის შემოღებას, ეს საქმე ჯერ ჯერობით გადადებული იქმნება, ვიდრე არ დაარსდება იქ სახაზინო პალატები, რომელთაც უნდა გაანაწილონ ეს გარდასახადი.

⁂ ამ ჟამად ტფილისში არსდება განსაკუთრებული საზოგადოება, რომელსაც აზრად ექნება ჯეროვანი დახმარება აღმოუჩინოს უმაღლესს ქალთა კურსებისა და ქალთა სამკურნალო ინსტიტუტის მოსწავლეთ. რამდენიმე კაცი უკვე არდგენს ხსენებულ საზოგადოების წესდების პროექტს, რომელიც განსახილველად წარედგინება ამ საქმის თანა-

## ფელეტონი

### ადამიანის ადგილი დანარჩენ სულიერ არსებათა შორის

ადამიანის გონებამ იმ გვარ ძლიერებასა და განვითარებამდე მიაღწია, რომ მან შესძლო გაგება ბუნების მრავალ სხვა და-სხვა გვარ მოვლენისა; იმას, რაც წინად აუხსნელი და გაუგებარი იყო, დღეს ადამიანის გონება სავსებით მისწვდა და შეიგნო; ამითი ადამიანმა დაიმონავა თითქმის მთელი ბუნება და შეიქმნა მისი მბრძანებელი.

მაგრამ საკვირველი ის არის, რომ თუმცა ადამიანის გონებამ მრავალი რამ, აქამდის აუხსნელი, ბუნებრივი საგანი გამოიკვლია და შეიგნო, ჯერ კიდევ თავისი საკუთარი შთამომავლობა და ქვეყანაზედ გაჩენა მეცნიერულად ვერ განუმარტავს.

ადამიანი ყოველთვის იმ აზრისა იყო, რომ იგი არის განცალკევებული არსება დანარჩენ სულიერთა შორის; რომ მისი შექმნა ქვეყანაზედ საზრუნავი და უპირველესი საგანი იყო მთელის ბუნებისა. დედამიწა-კი შუაგულია, ცენტრი მთელის მსოფლიოსი და მას გარშემო უვლიან მზე, მთვარე და ვარსკვლავები.

მაგრამ ნიუტონმა, კეპლერმა და კაპერნიკმა დაარღვიეს ეს ცრუ აზრი და დაგვიმტკიცეს, რომ დედამიწა არამც თუ არ არის შუაგული მთელის მსოფლიოსი, არამედ წარმოადგენს ერთს უმცირეს ნაწილს ქვეყნიერებისას და მზის სისტემის პლანეტთა შორის ძლიერ მცირე ადგილი უჭირავს. ხოლო ის აზრი, რომ ადამიანი ქვეყანაზედ განცალკევებული არსებაა, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს დანარჩენ სულიერ არსებასთანაო,—სულ ოცი, ოც-და-ათი წელიწადია, რაც შეიცვალა.

მეცნიერებმა როცა შეისწავლეს ბუნება და თვისებანი ყველა სულიერ არსებათა, დაინახეს, რომ ადამიანიც იმ გვარად უნდა წარმომდგარიყო ქვეყნად, როგორც სხვა დანარჩენნი სულიერნი არსებანი. ადამიანს იმ გვარი დამოკიდებულება აქვს ბუნებასთან, როგორც ყოველ გვარ სულიერ არსებას, რომელიც-კი სცოცხლობს ქვეყანად; ადამიანი და ბუნება განუყრელნი არიან.

თუმცა, ვიმეორებთ, ამ გვარი აზრი დამყარდა თითქმის ჩვენს დროს, მაგრამ წინადაც იყვნენ ზოგიერთი მეცნიერნი, რომლებიც ასე ჰფიქრობდნენ, თუმცა-კი ძლიერ გამოურკვევლად და ბუნდოვანად. მაგალითად, ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელი ამბობდა, რომ ადამიანი გონებიანი პირუტყვიაო; ლა-მეტრის აზრით კი ადამიანი წარმომდგარა მაიმუნისაგან.

სხვა-და სხვა ველურ ხალხსაც თავისი წარმოდგენა აქვთ ადამიანის გაჩენის შესახებ; ამათის აზრით, ადამიანს ნათესავობა აქვს პირუტყვთან; ზოგიერთს მათგანს ჰგონია, რომ მაიმუნები არიან გადაგვარებული ადამიანები, რომლებიც ღმერთმან, მათზედ განრისხებულმან, დაჰფანტა უდაბურს ტყეებშიო.

ადამიანი მხოლოდ იმათ დააყენეს ასე მაღლა და განაცალკევეს დანარჩენ არსებებთაგან, ვისაც მეცნიერულად არ შეეძლო ამ საგნის გარჩევა და მხოლოდ სარწმუნოებრივ თვალთა ხედვის ისარითა სჯიდა ამ საქმეს. როგორ თუო, ამბობდნენ ესენი, ჰბედავთ და ათავსებთ ერთს ჯგუფში ადამიანსა და სხვა პირუტყვებს! მეცნიერი ბიუფონიც-კი იმ აზრისა იყო, რომ ადამიანი არის ციური ქმნილება, პირუტყვი-კი მიწიერიო.

მთელის მეთვრამეტე საუკუნის მეცნიერები უარ-ჰყოფდნენ რაიმე ერთობას ადამიანსა და სხვა სულიერთა შორის. მაგრამ ადამიანის გონებამ ეს საგანიც გამოარკვია: ჩვენის დროის უდიდესმა მეცნიერმა დარვინმა თავისის თხზულებანით აშკარად დაგვიმტკიცა, რომ ადამიანი არის იმ გვარივე სულიერი არსება, როგორც მრავალი სხვა, მხოლოდ უმაღლესად განვითარებული, რომ ადამიანი ექვემდებარება ბუნების კანონებს იმ გვარადვე, როგორათაც მთელი ქვეყანა.

ამ გვარად მეცნიერებამ ადამიანის შთამომავლობას ჩამოაცალა ყოველივე დიდება, რომლითაც იგი მისმა გარდამეტებულმა თავ-მოყვარეობამ შეამკო და მოათავსა ადამიანი დანარჩენ სულიერ არსებათა შორის.

ამ საგანმა გამოიწვია მეორე საგანიც, რომელიც აქამომდე გამოურკვეველი რჩება: რომელი სულიერი არსება იყო ჩვენი, ესე იგი ადამიანის პირ-და-პირი წინაპარი? ჰეკელმა ის აზრი წარმოსთქვა, რომ ადამიანის წინაპარი მაიმუნი უნდა იყოსო; კარლი ფოხტი-კი იმას ამბობდა, რომ მაიმუნები—ჰორილლა, შიმპანზე და ორანგ-უტანგი წინაპრები არიან სამი სხვა-და-სხვა ადამიანთა ტომისაო.

ამ გვარად ზოგიერთნი მეცნიერნი სცდილობდნენ იმის დამტკიცებას, რომ ის სულიერი არსება, რომელი-

მგრძნობელთა კრებას და შემდეგ ტფილისის გუბერნატორს დასამტკიცებლად. 25 მარტს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დარბაზში გამართულ იქმნება კრება, რომელზედაც შეუძლიან დაესწროს ყველას, ვისაც-კი ამ საქმის დახმარების სურვილი აქვს.

⁂ როგორც გუშინ ჩვენს გაზეთში ნათქვამი იყო, განზრახვა აქვთ ვანქის ტაძრის ეზოში საისტორიო-საეკკლესიო მუზეუმი აგონ და ამ საქმეს ა. ზ. ლუკასოვი, 17,000 მან. კი არა, 30,000 მან. სწირავს თურმე. შენობის აგების პროექტი შეუდგენია არხიტექტორს შტერნს. მუზეუმს ააგებენ ქუთაისიდგან ჩამოტანილის თლილის ქვით.

⁂ ამ უკანასკნელ ხანს ტფილისის გუბერნიაში სხვა-და-სხვა გადამდებ სენით ავად გამხდარა: სიღნაღში—საოფლეთი—2 კაცი და ხუნაგით—ერთი; ცხინვალში—ყვავილით—14 ბავშვი, მათ შორის 4 გარდაიცვალა; გორის მაზრის სოფ. საარაანთ-უბანში—საოფლეთი 2 კაცი; ზემო მაჩხაანში—წითელით 13 ბავშვი; ახალქალაქის მაზრის სოფ. დიდ კონდურში—წითელით 47 კაცი.

⁂ გაზ. „ტფ. ფ." სიტყვით, გერმანელ კაპიტალისტთა კომისია შემდგარა, რომელსაც აზრადა აქვს თურმე ტფილისისა და გორის მაზრების ბუნების სიმდიდრის წარმოება შეუდგეს. კომისიას უკვე დაუწყია მოლაპარაკება იმ მემამულეებთან, რომელთაც ატენის ხეობაში ტყე აქვთ.

⁂ გაზ. „კავკასს" სწერენ პეტერბურგიდგან, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიწყნარა ქ. ოზურგეთის წარმომადგენელთა შუამდგომლობა და დაადგინა შემოღებულ იქმნას ოზურგეთში გარდასახადი ეტლებზედაო.

⁂ გაზ. „კავკასის" სიტყვით, ტფილისის ადმინისტრაცია ეს ორი წელიწადია დაეძებს თურმე გრუზინსკის გრენადერთა რაზმის ჯარის-კაცს, სოფ. სამშვილდოს მცხოვრებელს არაქელ გასპარიანცს, რომელიც ამ ორის წლის წინად „ყაზარმიდგან" გაიქცა. ამ ორის წლის განმავლობაში ადმინისტრაცია ბევრს ეცადა, მაგრამ გაქცეული ვერ იპოვნა, მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს ტფილისის მაზრის ბოქაულმა გუგუშვილმა შეიტყო, რომ გასპარიანცი ბორჩალოს მაზრის სოფ. ქალდაში სცხოვრობსო. გაგზავნილმა კაცებმა დაიჭირეს გაქცეული, ტფილისში ჩამოიყვანეს და ტფილისის მაზრის სამხედრო ნაწილის უფროსს წარუდგინეს.

⁂ გაზეთ „კავკასის" სიტყვით, ამიერ-კავკასიაში მიწების დამიჯვნის საქმის დასაჩქარებლად, მიწად-მოქმედების და სახელმწიფო მამულების სამინისტროს განკარგულებით იმ მიწის მმიჯვნელთ, რომელნიც ეხლა ჰმუშაობენ, უნდა დაეხმარნენ ათამდე სხვა მიწის მზომელნიც, რომელნიც ამ ჟამად კავკასიაში მეურნეობის რწმუნებულის განკარგულებაში არიან.

⁂ სოფ. ვეჯინი, (სიღნაღის მაზრა). არც ჩვენი ვეჯინელები ჩამორჩნენ სხვა სოფლებს; აქაც თავის დროს იყო გარდახდილი პანაშვიდი საქართველოს მეფის ერეკლე II-სა ჩვენივე მღვდლის თომა ასათიანის მიერ, რომელმაც შესაფერი და გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა. მოკლედ და ნათლად დაგვიხატა უწინდელი ქართველების გმირობა და თავ-განწირულობა სამშობლოსათვის, იმათი ძმობა, ერთობა და სიყვარული. აგვიწერა რა ერეკლეს მამაცობა და გმირობა ასპინძის ომში, მოგვითხრო რომ, ამისთანა გმირი მეფე იშვიათია მთელ ქვეყანაზედო და გმირობით ალექსანდრე მაკედონელს მოგვაგონებსო.

⁂ სფ. დოესი, (გორის მაზრა). სოფ. დოესის მცხოვრებმა იასონ ტერტერაშვილმა 11 მარტს მოჰკლა იმავე სოფლის მცხოვრები, თავ. ციციშვილის მოურავი ანდრია რაზმაძე. მკვლელი მეორე დღეს თითონვე გამოეცხადა გორის პოლიციას.

⁂ სოფ. საგარეჯო. ამ სიცივებისა და თოვლის გამო, როგორც წინადაც მქონდა მოხსენებული, საგრძნობლად იზარალა ცხვარმა, სხვილ-ფეხა საქონელი კი უვნებლად გადარჩა. ცხვრის ზარალი ის არის, რომ, ამ საქონლის გამრავლების დროს, ცხვარს ბატკანს ვერ არჩენდნენ და ჰხოცავდნენ. ბევრი ბატკანი მოაშორეს თავიანთ დედებს, რადგანაც ყოვლად შეუძლებელი იყო დედა ცხვარს, გამომშრალს უსაჭმლობისა დ სიცივისაგან, ეკვება ბატკანი. ამის გამო, რაც ცხვარი დადოლდა ათოვლიანობაში, ყველას ბატკნები მოაშორეს და დაუხოცეს. საქონლის პატრონებს ნათლად აქვთ წარმოდგენილი, რომ ეს ძალა უნებური ბრძოლა საქონლის გამრავლების წინაალმდეგ საგრძნობლად შეამცირებს საქონლის რიცხვს და შემდეგში ცუდ გავლენას იქონიებს ეკონომიურად. იმედი ჰქონდათ, რომ საკვების ყიდვა არ მოუნდებოდათ, მაგრამ მოულოდნელმა თოვლმა ხარჯი გააწევინა და საკვები აყიდვინა. თოვლი გადნა და მინდვრები ადგილ-ადგილ დაისერა შავად. დიდის სიამოვნებით შეჰყურებს ამას გლეხი, რადგანაც თავის საქონელს მალე გაჰრეკავს მინდორში და ამოვა დუხჭირიდგან. საქონლის პატრონებს არ ეგონათ, თუ საქონელი, ამ თოვლში მინდვრად ფარეხებში მომწყვდეული, სულ მთლად არ ამოუწყდებოდათ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა, რადგანაც ამათ მალე მოასწრეს საქონლის სოფლად ამორეკა და საკვების საკმარისად შოვნა. აი ამან გადაარჩინა დიდს ზარალს აქაური საქონელი.

აქ გავრცელებულია გადამდები სენი—წითელა. ბავშვები მშვიდობიანად იხდიან და სიკვდილით შემთხვევა ამ სენისაგან სრულებით არა ყოფილა.

⁂ სოფ. ვეჯინი, (სიღნაღის მაზრა). სოფელ ვეჯინისთანა დაზარალებული მთელ სიღნაღის მაზრაში ერთი არ არის, ეს სამი წელიწადია მოუსავლობამ შეაწუხა ჩვენი სოფელი—არც პური მოვიდა და არც ღვინო. გარდასახადი კი ბევრი აწევს. არ იქმნა, ჩვენს ვეჯინს არ ეღირსა ერთი რიგიანი მამასახლისი, რომ სოფლის საქმე კარგად ეწარმოებინა. უგზოობითაც დიდი გაჭირვება აქვთ. ლაფიან-ტლაპოიან გზების გამო ყმაწვილებს სკოლაში ვერ უვლიათ.

⁂ ამას წინად გორში განზრახულ ქსენონის სასარგებლოდ გამართულ სალიტერატურო საღამოს შემოსავალი ჰქონდა 211 მან. 20 კ. გარდა ამისა შესწირა თავ. კ. ა. ერისთავმა—3 მან., რ. შ. ერისთავმა—5 მან., თავ. ჩიჩუამ—3, დ. გ. ქართველიშვილმა 3 მან., პოლკოვნიკმა მისევიჩმა—2 მან., თავ. დ. დ. ციციშვილმა—5მან., კაპიტანმა თავ. გ. დ. ამილახვარმა—1 მან. 20 კ., თავ. მაჩაბელმა—1 მან, ასე რომ სულ 231 მან. 40 კაპ. შესდგა. აქედგან დაიხარჯა სულ 105 მან. 95 კაპ., წმინდა შემოსავლიდგან 20 მან. გორის სამოქალაქო სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ გადაიდო, ხოლო დანარჩენი 105 მან. 95 კაპ. დანიშნულებისამებრ გარდაეცა.

⁂ 13 მარტს, საღამოს 9 საათზედ, ახალ-არსენალის ქუჩაზედ პოლიციელმა იპოვა ახლად დაბადებული მიგდებული ბავშვი, რომელიც საბებიო ინსტიტუტში იქმნა გაგზავნილი აღსაზრდელად.

⁂ 13 მარტს, მე-3 პოლიციის გამგეობას გამოუცხადეს მირზოევმა, ბარხუდაროვმა და ეგანოვმა, რომ ჩვენ დუქანში მოდის ვიღაც, ჰყიდულობს სანოვაგეს და გვეუბნება, რომ ფული სახლში დამავიწყდა, გამომაყოლეთ თქვენი ბიჭი და იმის ხელით გამოგიგზავნითო. გზაში ის საცალა იმალება და ხელ-ცარიელი ბიჭი უკანა ჰბრუნდებაო. პოლიციამ დამნაშავედ იცნო და შეიპყრო ბორჩალოს მაზრის სოფ. შულავერის მცხოვრებელი სარქისა აგიევი, რომელიც დაპატიმრებულ იქმნა მეტეხის საპატიმროში.

⁂ 13 მარტს, მე-4 ნაწილის ბოქაულს გამოუცხადა ნაფიც ვექილის თანაშემწე მათე ნიკოლაიმ, რომ ვიღამაც სახლის ჩარდახიდგან მომპარა ხალიჩა, ქალის ტანისამოსი და სხვა ნივთები, სულ 81 მან. ღირებულიო. პოლიცია ქურდს დაეძებს.

⁂ ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის მოურავს, შეტანილ იქმნას ქალაქის საბჭოში მოხსენება იმის შესახებ, რომ ექიმს ს. მრევლიშვილს 30 წლის სამსახურის შესრულების გამო დაენიშნოს პენსია, წელიწადში 600 მან.

⁂ ოთხშაბათს, 22 მარტს, „არტისტთა საზოგადოების" თეატრში ტფილისის საბაღოსნო სკოლის მზრუნველის ს. ნ. ტიმოფეევის მეცადინეობით გამართულ იქნება ხსენებულის სკოლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ წარმოდგენა. ითამაშებენ ბ-ნ ნ. ნ. მაკაროვის ახალს პიესას „Быть Бѣдѣ".

## ქართული საეკლესიო საუბარი ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში.

ტფილისში წარსულს წელს დაარსებულის საეპარქიო სამისიონერო სასულიერო განათლების ძმობის საბჭომ სცნო აუცილებელ საჭიროებად—ამ დიდ-მარხვაში გაემართა ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში ქართულს ენაზედ საეკლესიო საუბრები ქართველების სასულიერო საჭიროების დასაკმაყოფილებლად. ამ ფრიად მოსაწონის აზრის განსახორციელებლად ძმობის საბჭომ სწორედ რომ კარგის ადგილის და ისტორიულის მნიშვნელობის ტაძარი აღმოირჩია, ეს ტაძარი ქვაშვეთის წმიდის გიორგის ტაძარია, რომელიც მოწმეა საქართველოს თავზედ გადავლილთა თითქმის ყოველთა უბედურებათა და მწუხარებათა...

საეკლესიო საუბარნი გამართულ იქმნენ ჯერ-ხანად ამ დიდ-მარხვაში. საეკლესიო საუბრისთვის დანიშნულია დიდ-მარხვის თითოეული კვირა დღის საღამო. ამ დღეს ქვაშვეთის ტაძარში, საღამოს ხუთს საათზედ, იწყება ლოცვა, ლოცვას მოსდევს „დაუჯდომელი" ღვთის მშობლისა, რომლის წილ-ხდომილია მრავალ-წამებული საქართველო. „დაუჯდომელის" შემდეგ დანიშნულია საეკლესიო საუბრის წარმოთქმა. პირველს კვირას დიდმარხვისას წარმოსთქვა საეკლესიო საუბარი მარხვისა და იმისს მნიშვნელობის შესახებ ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიის წინამძღვარმა მ. მარკოზ ტყემალაძემ, მეორე კვირას—საეკლესიო წიგნების კითხვის მნიშვნელობის შესახებ არქიმანდრიტმა მამა ლეონიდემ,—მესამე კვირას—დიდუბის მღვდელმა მ. კ. ცინცაძემ იესოს ჯვრის შესახებ. მეოთხე კვირას, 15 მარტს წარმოსთქვამს საეკლესიო საუბარს საქართველოს მეფის წმ. დავით აღმაშენებლის შესახებ ტფილისის სას. სემ. მასწავლებელი ი. ფერაძე,—მეხუთე კვირას-კი—იღუმენი მ. კირიონი.

ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში ამ საუბრების მოსასმენად იმდენი ხალხი არ დადის, რამდენსაც მოელოდა ძმობის საბჭო,—თუმცა არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ მაინც საკმაოდ დადის ხალხი ამ საუბრების მოსასმენად, რომელთა შესახებ თავისს დროს გამოუცხადა სამწყსოს მ. მარკოზ ტყემალაძემ... მაინც იმდენი ხალხი არ დადის, რამდენიც ყაზანის ღვთისმშობლის სამისსიონერო ეკკლესიაში, სადაც სა-

---

საგანაც პირ-და-პირ წარმოსდგა ადამიანი, მაიმუნი იყოო. ამისთვის საჭირო იყო ერთობა და მსგავსება მაიმუნისა და ადამიანის აგებულებათა შორის. აღმოჩნდა, რომ ყველა დანარჩენ არსებათა შორის მაიმუნი უფრო მეტად წააგავს ადამიანს თავისის აგებულებით; თუმცა მათ შორის დიდი მსგავსებაა, მაგრამ პირ-და-პირ ნათესაობის დამტკიცება მაიმუნსა და ადამიანის შუა შეუძლებელია.

მართლაც, მაიმუნი ძლიერ წააგავს ადამიანს, როდესაც ის ჯერ კიდევ პატარაა და ნორჩი, მერე-კი, როდესაც იზრდება, თან-და-თან ჰკარგავს ამ მსგავსებას; ამის გარდა ისიც უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ, თუმცა გონებრითაც უფრო ადამიანს ჰგავს მაიმუნი, ვიდრე სხვა დანარჩენ პირუტყვებს, მაინც მოკლებულია ბუნებით გონებრივ განვითარებას. აი ამ თვისებაშია დიდი განსხვავება.

ზოგიერთნი მეცნიერნი იმასაც-კი სცდილობდნენ, რომ მოენახათ იმ გვარი ხალხი, რომელიც თავისის ანთროპოლოგიურის მოყვანილობით უფრო მეტად ჰგავდა მაიმუნს, რომ ამითი დაემტკიცებინათ,—ეს ტომი არის „ხიდი" ჩვენსა და მაიმუნთა შორის. მაგრამ ვერც ეს დამტკიცდა. არ არის არც ერთი იმისთანა ტომი, რომ სავსებით ჰგავდეს მაიმუნს მოყვანილობით, ხოლო ზოგიერთი მსგავსება-კი ყოველ ტომს აქვს თავისს აგებულებაში.

თუმცა, რასაკვირველია, მეცნიერებამ ვერ აღადგინა ჩვენი პირ-და-პირი წინაპარი, მაგრამ, როგორც ეს ყოველთვის მოხდება ხოლმე მეცნიერებაში, ჩვენს გონებრივ მოსაზრებას დიდი სარგებლობა მოუტანა.

დაჭეშმარიტებით შეგვაძლიან ვთქვათ, რომ ადამიანი არის მხოლოდ ერთი უმაღლესი საფეხური იმ კიბისა, რომელსაც შეადგენენ ყველა სულიერნი არსებანი, ქვეყანაზედ მცხოვრებნი. ადამიანის შთამომავლობა იმგვარია, როგორც დანარჩენ არსებათა. ხოლო რა არსება იყო ჩვენი პირდაპირ წინაპარი, არ ვიცით. თუმცა მაიმუნი ყველაზედ მეტად გვგავს, მაგრამ დამტკიცებით ვერ ვიტყვით, რომ ის იყოს ჩვენი წინაპარი.

ხოლო შეგვიძლიან მოვიაზროთ, რომ იყო ამგვარი არსება, რომელიც არსებობდა ქვეყნად და ახლა-კი გაჰქრა. დაჭეშმარიტებით თქმა-კი არაფრისა არ შეიძლება.

დიაღ, ადამიანი არის იმგვარივე წევრი ბუნებისა, როგორც სხვა სულიერი არსება, მაგრამ მას იმ გვარი სულიერი სიძლიერე მოეპოვება, რომ იგი ანთავისუფლებს ბუნების ულლისა და სიმძიმისაგან და მთელს ბუნებაზედ მაღლა აყენებს. ყველა ქვეყნიერი არსებანი არიან ყურმოჭრილნი ყმანი ბუნებისა, ადამიანმა თავისის განსაკუთრებულის სულიერის ძალით-კი დაიპყრო მთელი ბუნება და შეიქმნა მისი მბრძანებელი.

ჩვენ ვთქვით, რომ ადამიანს მოეპოვება განსაკუთრებული სულიერი ძალაო, რომელსაც მოკლებულნი არიან დანარჩენი სულიერი არსებანი.

ეს სულიერი თვისება ადამიანისა იმდენად მძლავრია, რომ ამ შემთხვევაში ადამიანსა და სხვა არსებათა შორის განსხვავება განუზომელია. თუმცა განსხვავება, ვიმეორებთ, განუზომელია, მაგრამ იმის თქმა, რომ პირუტყვი სრულიად მოკლებულია სულიერ და გონებრივს მოძრაობასაო, შეუძლებელია. განსხვავება მხოლოდ ამ თვისების სიმძლავრისა და ძლიერების მეტ-ნაკლებობაშია.

დარვინმა ბევრი ფრიად საინტერესო მაგალითი აღნიშნა იმის დასამტკიცებლად, რომ პირუტყვნი არ არიან მოკლებულნი სხვა და სხვა გვარ გრძნობას: სიყვარულისას, შურის ძიებისას, სიძულვილისას და სხვას; მათ მოქმედებას აჩნევია გონების ბეჭედი, ხშირია მათში ცნობის-მოყვარეობა, მიბაძვა, მეხსიერება, ერთის სიტყვით, პირუტყვნიც არ არიან მოკლებულნი ზოგიერთ ისეთს გრძნობასა და სულიერს თვისებას, რომლითაც ადამიანს მოსწონს თავი. რასაკვირველია, ყველა ეს პირუტყვს ძლიერ მცირედ აქვს განვითარებული და შესაძლებელია, რომ ზოგიერთი სულიერი თვისება მისი სრულად ვერ შენიშნოს დაუკვირვებელმა ადამინმა, ხოლო ადამიანის სულიერი თვისება და გონების ძალა-კი დიდად და გასაოცრად განვითარდა.

სჩანს, რომ ადამიანი არამც თუ მხოლოდ თავისის ფიზიკურის აგებულებით არ შეგვიძლიან განვაყენოთ ცალკე და გამოვაკლოთ დანარჩენ სულიერთა სამეფოს, არამედ თავისი სულიერის თვისებითაც-კია, რომლითაც ადამიანს ასე მოსწონს თავი, იგი არაფერს ისეთს არ წარმოადგენს, რომ სხვა დანარჩენ არსებათაგან სრულიად განსხვავებული იყოს.

ადამიანი არის უდიდესაც განვითარებული სულიერი არსება და ამასთანავე წევრი ბუნებისა.

ექიმი ბადრიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკკლესიო საუბარს რუსულს ენაზედ ამბობენ ძმობის საბჭოს დადგენილების თანახმად. ამ ტაძარში ხალხი არც-კი ეტევა საუბართა წარმოთქმის დროს...

ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორი, არქიმანდრიტი მამა სერაფიმე, რომელიც ძმობის საბჭოს თავმჯდომარეა, ძლიერ სცდილობს, რომ ქართულ საუბრების მოსასმენად იმდენივე ხალხი დადიოდეს, რამდენიც რუსულ საუბართა მოსასმენად დადის... ამ აზრით კვირას, 15 მარტს, და ამავე თვის 22-საც საღამოს ლოცვისა და დაუჯდომელის კითხვის დროს ქვაშვეთის ტაძარში, მამა რექტორის სერაფიმეს განკარგულებით, იგალობებს ტფილისის სასულიერო სემინარიის ქართულ მგალობელთა გუნდი და ქვაშვეთის საეკკლესიო-სამრევლო სკოლის მოსწავლენიც. იმედია, რომ ქართველობა, უკეთუ მას მცირედ მაინც უღვივის სიყვარული სამშობლო ენისა და ღვთის-მსახურებისა არ დაიზარებს საეკკლესიო საუბრების მოსმენას ქართულს ენაზედ ქვაშვეთის ტაძარში... უკეთუ ქართველობა თანაგრძნობით მოექცევა და ივლის ამ საუბართა მოსასმენად, ძმობის საბჭოს თავმჯდომარეს არქიმანდრიტს მამა სერაფიმეს განზრახვა აქვს გააძლიეროს და გაახშიროს ქართულს ენაზედ საეკკლესიო საუბარნი. იგივე თავმჯდომარე სცდილობს გამოსცეს ქართულს ენაზედ საუკეთესო საეკკლესიო საუბრები ორიგინალური და რუსულიდგან ნათარგმნი. ამ მოკლე ხანში გამოცემულ იქნება გიმნაზიის საღმრთო სჯულის მასწავლებლის მ. ი. ვოსტორგოვის ფრიად საინტერესო საუბარი, ქართულად ნათარგმნი.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ს. ტობანიერი,** (ქუთაისის მაზრა). აქეთ ყველგან დაიცვალა მოხელეები, ჩვენში კი ჯერ ისევ ძველები არიან და საქმე უგულმა მიდის; ისინიც გულგრილად ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას და როგიანს სამართალს ხრავის არ აღირსებენ.

ძველი წლის სახელმწიფო სარჯებიც ეხლა იკრიბება და მეტად შევიწროებულნი არიან აქაურნი მკვიდრნი. ამისი მიზეზი ისევ აქაურნი მკვიდრნი არიან. ამათ შორის ბევრი მოიძებნება საქმის ამრევი სოფლის „ადვოკატი“, რომლებმაც დაუხშირეს „დანოსები“-ს წერას, რომ ახლად ამორჩეული მამასახლისად მათი ბებიძე არ არის საიმედო კაცი და ამის გამო გამოძიებაა დანიშნული; მათი ბებიძე ორჯელ იყო უწინ მამასახლისად ამორჩეული და გაატარა ამ თანამდებობაში ექვსი წელიწადი, ეხლა სწივიან ზოგიერთები; არც ეძოვებათ უკეთესი გამოცდილი კაცი და არ იციან ვინ ამოირჩიონ. ხმა დადის, რომ მაზრის უფროსთან იმისი თანაშემწე უნდა მოვიდეს და გამოიძიოს საქმე.

აქეთ დღემდე მშვენიერი თბილი ამინდები იდგა, დღეს-კი თებერვალმა თავისებურად დაუბერა და ძლიერ სუსხიანი დღეები დაგვიდგა. ეტლები ეს ერთი თვეა დადის ჩვენში დ. სამტრედიიდგან; გზების კეთების დროც ეხლა არის, მაგრამ ვინაა პატრონი; ახალი მამასახლისი გვპირდება დ. სამტრედიამდე საეტლო გზის შეკეთებას, მაგრამ რომ ვერ ვეღირსეთ მისის ჯაჭვის ჩაზარებას, იქნება ახალის ცოცხალით ცოტახანს ერთგულად მოეკიდებოდა საქმეს.

ამას წინად ს. საპაიჭავოდგან წამოსულიყო ვლადიმერ ქრისტეფორეს ძე ადეიშვილი სცოლო ქალის სანახავად ს. ტობანიერში დიომიდე სანიკიძისას; სასიძოს წამოეყვანა თან ხუთი-ექვსი კაცი, დანიშნეს სანიკიძის ქალი, შემდეგ კარგად დამთვრალიყვნენ; საღამოს სასიძო თავის მხლებლებით წასულიყვნენ სახლში; გზაზედ მიმავალთ გაეგონათ სიმღერა აქვე მცხოვრების გლეხის დიმიტრი ინასარიძისას, რომელსაც სტუმრები ჰყოლოდა და სადილად მსხდარიყვნენ; მთვრალი მგზავრები შესულიყვნენ დიმიტრი ინასარიძის ეზოში, ჯერ ჭიშკარი და ლობეები დაეფშვნათ ძირს, კვნესები აეჭრათ ხანჯლებით ეზოში და შემდეგ შეკარდნილიყვნენ სახლში; მასპინძელს და სტუმრებს მიეტოვებინათ გაწყობილი სუფრა და უკანა კარებიდგან უშველეს თავს გარედ, მხოლოდ დარჩენილიყო სახლში ძმა მასპინძლისა სოფრომ ინასარიძე და სამის წლის ბავშვი. მთვრალებს დაეჭრათ კარები სახლისა, დაეჩეხათ სუფრა, დაემტვრიათ ყოველივე, რაც იყო სუფრაზედ, დაეჭრათ ქვევრსაგები, ღვინის ტიკები და სხვა, რაც ენახათ სახლში, დაეჭრათ სოფრომ ინასარიძეც, ბავშვი გადაეგდოთ აივანიდგან, რომელიც ისე მაღლა იყო, რომ არ გადარჩენოდა, თოვლში რომ არ ჩავარდნილიყო. ამ საქმის გამო ადგილობრივმა მამასახლისმა ოქმი შეადგინა და გადასცა, სადაც ჯერ იყო; მაზრის ექიმიც მობრძანდა, დაჭრილი შეამოწმა და შემწეობა აღმოუჩინა.

ამ სოფელში სცხოვრობდა ქუთათური რევაზ გოგაძე, რომელიც ცოტად არეული იყო; ამ ორის წლის განმავლობაში ხშირად ავადმყოფობდა; ერთს დღეს თავისი ცოლი მეზობლებში გაგზავნა. თითონ-კი ჩამოხსნა ბაწარი სახლში და დაერჩო თავი. ცოლი დაბრუნდა სახლში და ნახა თავისი ქმარი ბაწარზედ ჩამოკიდებული.

ვლადო ბზვანელი

## წერილი პარიზიდგან

ორიოდე სიტყვა ზოლას საქმის გამო.

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ეს რამდენიმე დღეა პარიზის ქუჩებში უმართებულო დემონსტრაციებს ბოლო მოეღო; აღარა ჰხედავთ გაიძვერა იეზუიტთა აგენტებს, რომელნიც ეს ორი თვეა საგანგებოდ აქა-იქ დაფაცურობდნენ და ოსტატურად აქეზებდნენ აუარებელ ახალგაზდა მოსწავლეებს ზოლას საწინააღმდეგოდ, აღარ ისმის „A bas Zola! Mort aux juifs!“ დაწყნარდნენ კლერიკალების მომხრენი და ებრაელების მოძულენი. მათმა უგუნურმა სურვილმა თავისი გაიტანა. საფრანგეთის მთავრობამ დრეიფუსის საქმის ხელ-ახლად გარჩევა უარ-ჰყო, მერე ნაფიც-მსაჯულთა დაწესებულებამ ზოლას დანაშაული აღიარა და თანაც მოურიდებლივ გარდაუწყვიტა უდიდესი სასჯელი. ამგვარი შედეგი მოსალოდნელიც იყო, თუ გავიხსენებთ იმ გარემოებათ, რა უკუღმართს გარემოებაშიაც ირჩეოდა ემილ ზოლას საქმე. ჯერ თავიდამვე იმ შესანიშნავ წერილის გამოქვეყნების შემდეგ, რომლითაც ზოლამ ისე მამაცურად საფრანგეთის წარმომადგენელს მიჰმართა, ზოგიერთმა ურიგო; მიმართულების გაზეთებმა განგაში დაჰკრეს, თამამად ააფრიალეს თავიანთი სამარცხვინო დროშა ზოლას საწინააღმდეგოდ, გამოაცხადეს იგი სამშობლოს მოღალატედ და ებრაელების მიერ დაქირავებულ ვექილად; მათ უსამართლო, ლანძღვა გინებით სავსე წერილებისა და იეზუიტების ოსტატურ ქადაგებას ბოლო არა ჰქონდა და ქუჩის უგუნური ბრბოც აჰყვა ამ სამწუხარო მიმართულებას. ახალგაზდა მოსწავლეებისა და ქუჩის პატარა ბიჭებისაგან შემდგარი უშველებელი ბრბო ქუჩა-ქუჩა დადიოდა და ვინ იცის რა სიტყვებით არ იხსენიებდა „Germinal“-ის ავტორს გათამამებულმა ბრბომ ზოლას სახლამდისაც-კი მიაღწია და მისის სამუშაო ოთახის ფანჯრები ჩაამსხვრია.

ამავე დროს საფრანგეთის მინისტრთა კომიტეტი გაბრაზებული და თან შეშინებული ყოველ გვარ საშუალებას ჰხმარობდა ზოლას გასამტყუნებლად; საქმის გარჩევის დროს სასამართლოს უშველებელი დარბაზი სავსე იყო ზოლას მოწინაღმდეგეებით; როგორც ბოლოს გამოაშკარავდა, თითქმის ყველა ესენი სამხედრო წოდებისანი იყვნენ, რომელნიც განზრახ უშლიდნენ ლაპარაკს ზოლასა და იმის მჭევრ-მეტყველ ვექილს და მეტისმეტის აღტაცებით ეგებებოდნენ თავმჯდომარის თუ ბრალმდებელის ყოველს სიტყვას, ზოლას საწინააღმდეგოდ წარმოთქმულს; ამათ თავი მოიყარეს საქმის გარჩევის უკანასკნელ დღეს, რასაკვირველია, რომ მსაჯულებისათვის თანაგრძნობა გამოეცხადებინათ. უმთავრესი მოწმე, სამხედრო წოდებისანი, ზოლას მიერ დასახელებულნი, ჩვენების ჩამორთმევის დროს თითქმის გაჩუმებულები იყვნენ, არც ერთს კითხვაზედ გადაჭრით პასუხს არ იძლეოდნენ და იმას გაიძახოდნენ, რომ უფროსების ნებადაურთველად ჩვენის ნამდვილის პასუხის გაგონება შეუძლებელიაო; უფროსები-კი ბევრს ლაპარაკობდნენ, მაგრამ რაც შეეხებოდა პირდაპირ საქმეს, იმისას ხმას არ იღებდნენ და თავიანთ უადგილო მედიდურ სიჩუმეს სამხედრო წესდებაზედ ამყარებდნენ. რაღა თქმა უნდა, რომ ამ გვარად სიმართლე ვერ გამოირკვეოდა.

ზემო ხსენებული გაზეთებიც ერთის კვირის განმავლობაში მოურიდებლივ აცხადებდნენ ყველა ნაფიც-მსაჯულთა გვარებს და მათს საცხოვრებელს ალაგს და თან მუქარას უთვლიდნენ: „თუ ზოლა გაამართლეთ, მთელს საფრანგეთში შეიძლება რევოლიუცია მოხდეს და მაშინ პასუხის მგებელნი მხოლოდ თქვენ იქმნებითო, თქვენ ვაჭრობასაც სულ დავცემთო“ და სხვა. (ნაფიც მსაჯულთა უმეტესობა მედუქნე, მეყასბე და სხვა მეწვრილმანეებისაგან შესდგებოდა და, რასაკვირველია, ეს სამარცხვინო მუქარა თავისას გაიტანდა). დაშინებულმა ნაფიც-მსაჯულებმა ყურადღებაც არ მიაქციეს აუარებელ მოწმეთა დასაბუთებულს ჩვენებას, არაფრად ჩასთვალეს საფრანგეთის ცნობილ პროფესორების და საუკეთესო მოღვაწეების ჩვენება, ზოლას სასარგებლოდ წარმოთქმული, და სიმართლის გამოაშკარავებას გაექცნენ. მსაჯულებმა ემილ ზოლას დანაშაულობა აღიარეს და თან იმათ დამრიგებელთა სამწუხაროდ ერთი ათათ გაუმრავლეს თაყვანის მცემელთა რიცხვი.

საქმის დაწყებამდევე ზოლას აუარებელი, თანაგრძნობით სავსე დეპეშები, წერილები და ადრესები მოსდიოდა; 7 თებერვალს ე. ი. საქმის გარჩევის პირველ დღეს, სასამართლოს დარბაზშივე ზოლამ მიიღო სხვა-და-სხვა ადგილიდგან გამოგზავნილი ექვსასამდე თანაგრძნობის დეპეშა, რომელთა შორის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ქ. ბრიუსელიდგან გამოგზავნილმა. ამ ერთს დეპეშაზედ სამასს სულს მოეწერა ხელი. ეხლა ემილ ზოლას მხარეს ამშვენებენ საფრანგეთის შესანიშნავი კაცები, მრავალი პროფესორი სხვა-და-სხვა ფაკულტეტისა, საფრანგეთის სამაგალითო მიმართულების მწერლობა. უცხოეთის ცნობილნი მწერალნი, როგორც, მაგალითად, ბიერნსტონ-ბიერნსონია, დ სხვა მრავალი ნასწავლი ხალხი; სოციალისტები დ რევოლიუციონერები დღესაც კი მრავალს ადგილას ჰმართავენ კრებას ზოლას თანაგრძნობის გამოსაცხადებლად. რაც შეეხება აქაურს პარლამენტს, დეპუტატთა დიდი უმრავლესობა ზოლას მოწინააღმდეგეა, დეპუტატები უფრო იმიტომ არიანო მოწინააღმდეგენი, სწერენ გაზეთები, რომ მოახლოვებულს არჩევანების დროს გაშავკენჭებასა ჰშიშობენო. მთავრობა საქმის გათავების შემდეგაც-კი არ იშლის თავის სასტიკობას, იგი სდევნის ეხლა ზოლას მოწმებს, მაგალითად, სხვებთან ერთად სამსახურიდგან დათხოვნილია ოთხმოცის წლის პროფესორი გრიმო, რომელიც აქაურ პოლიტეხნიკუმში ქიმიის ლექციებს კითხულობდა, რადგან იგი საქმის გარჩევის დროს ზოლას სასარგებლოდ ჰლაპარაკობდა.

ზოლას საქმე დასრულდა და ბრბოც დამშვიდდა. სამაგიეროდ, ეხლა მიტინგების სიმრავლემ თითქოს გონს მოიყვანა, გამოაფხიზლაო ხალხი; მრავალს მიტინგზედ ორივე მოწინააღმდეგე დასი ხვდება ერთმანეთს სალაპარაკოდ, თავისუფლად სჯის და საბრალო ქუჩის ბრბოსაც თითქოს ესმის რომელ მხარეს არის სიმართლე და სირცხვილით ხმას ვერ იღებს; ზოლას საქმეს დღითი-დღე სინათლე ეფინება და ყოველ ცოტად თუ ბევრად შეგნებულ ადამიანისათვის ცხადია, თუ საბოლოოდ ვის დარჩება გამარჯვება. თუ ეხლა ამისთანა სამწუხარო ამბებს ვხედავთ, ეს საფრანგეთის ხალხის ბრალი-კი არ არის, არამედ იმ ორი-სამიოდე კაცისა, რომელნიც თაყვანსა სცემენ უცხოეთიდგან მოდენილს აზრებს და ყოველ გვარს საშუალებასა ჰ მართობენ ხალხს აჰკიდონ ეს აზრები.

ზოლამ თავისი საქმე უკვე გადაიტანა უმაღლესს სამსჯავროში, სადაც ან დაამტკიცებენ პირველ სამსჯავროს გარდაწყვეტილებას, ან და დაარღვევენ და ხელ-ახლად გაარჩევინებენ ამ საქმეს.

სან. —იძე

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** ის გაზეთები, რომელნიც დრეიფუსის და საზოგადოდ ურიების წინააღმდეგნი არიან, იუწყებიან, რომ ამ ახლო მომავალში დრეიფუსის მომხრეები ხელ-ახლა დაიწყებენ მოქმედებას დრეიფუსის სასარგებლოდაო. აზრადა აქვთ რაღაც ახალი საბუთები და ქაღალდები გამოაქვეყნონ, რომლებიც დრეიფუსის სიმართლეს ამტკიცებენო. როგორც ამბობენ, ყველა ეს საბუთები და ქაღალდები გამოქვეყნებული იქმნება ინგლისის ერთ ერთის დიდის გაზეთის, სახელდობრ „Times“-ის შემწეობითაო.

— საფრანგეთის გაზეთებს თითქმის ყოველ დღე ის ამბავი მოაქვთ, რომ ამ ჟამად საფრანგეთი დიდს სამხედრო მზადებაშიაო. სხვათა შორის, გაზ. „Aurore“ ამბობს, რომ საფრანგეთის ყველა არსენალებსა და ნავთ-სადგურებში დღე და ღამ გაცხარებული მუშაობაა. მთავრობამ ყველა ადმირალები და ვიცე-ადმირალები პარიჟში დაიბარა მოსალაპარაკებლად. ამ მზადებას დიდი კავშირი აქვს ჩინეთის საქმესთანაო. როგორც სჩანს, სახელმწიფოები ჩინეთის დაყოფას და დანაწილებას აპირებენო. ჩინეთში საფრანგეთის ფლოტი რუსეთისა და გერმანიის ფლოტთან ერთად იმოქმედებსო.

—

**ამერიკის შეერთებული შტატები და ისპანია.** გაზეთების სიტყვით ასეთსავე გაცხარებულს მზადებაში არიან ამერიკის შეერთებული შტატები და ისპანია. განსაკუთრებით შეერთებული შტატები ფულს არ ზოგავს თავისის ფლოტის მოსაწყობად და გასაძლიერებლად. ყოველ-დღე მთავრობა სხვა-და-სხვა სახელმწიფოსაგან ახალსა და ახალს სამხედრო ხომალდსა ყიდულობს. ამ დღეებში ბრაზილიისაგან ორი სამხედრო ხომალდი იყიდა 500 ათას გირვანქა სტერლინგად. ამ ჟამად იტალიასთან მოლაპარაკება აქვს ორი დიდი სამხედრო ხომალდის შესახებ, რომლებშიაც 52 მილიონ ფრანკს აძლევს. ასეთივე მოლაპარაკება საბერძნეთისა და სხვა სახელმწიფოთა მთავრობასთანა აქვს. შეერთებული შტატების მთავრობა ყიდულობს აგრეთვე სავაჭრო გემებს, რომლებსაც სამხედრო ხომალდებად აკეთებს. ერთის სიტყვით ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობას არა სძინავს არც დღე და არც ღამე და ყოველ ღონესა ღონობს ისე, კარგად მოამზადოს ფლოტი რომ თუ კინიცობაა ომი მოხდა, ისპანია მისთან გაასწოროს. რაც შეეხება ხალხს, საზოგადოებას, ღარიბ ხელოსნიდგან დაწყებული მილიონების პატრონამდე ყველანი საშინელმა პატრიოტულმა გრძნობამ გაიტაცა. შინ თუ გარედ, ქუჩაში თუ მოედანზედ ამერიკელები მხოლოდ მომავალ ომის შესახებ და ლაპარაკობენ. გაზეთებს ხომ ნუღარ იტყვით! ამერიკელების ასეთი გატაცება ერთის მხრით გაზეთების ბრალიც არის. ისპანიიდგან ან კუბიდგან მოსულს უბრალო ამბავს გაზეთები ერთი ათად აზვიადებენ, თავიანთის ფანტაზიის ნაყოფით ამფერადებენ და ასეთის საშინელებით ხალხს მალად აღელვებენ. ამ ჟამად ამერიკაში ისეთი გაზეთი არ არის, რომ დღეში ათს, თხუთმეტს და ოცს დამატებით ფურცელს არა ჰბეჭდავდეს, რომელშიაც აუწყებს მკითხველ საზოგადოებას სხვა დ სხვა არა ჩვეულებრივ ამბავს, ვითომდა კუბიდგან ან ისპანიიდგან მოსულს. ასეთს ამბავშია ამერიკა, მაგრამ არც ისპანიასა სძინავს. როგორც გაზეთები იუწყებიან, ისპანიის მთავრობას ამ ჟამად მოლაპარაკება აქვს ტრანსატლანტიის მდიდარს ამხა-

ნაკობსთან იმის შესახებ, რომ ამ ამხანაგობამ უქელა თავის გემი შეაიარაღოს და ომის დროს სხვა სამხედრო ხომალდებს მიაშველოს. გარდა ამისა მთავრობამ გადასწყვიტა, რაც შეიძლება მალე, ისპანიიდგან უუბამდე ტელეგრაფის მავთული გაიყვანოს. ამსაქმის შესრულება რამდენსამე კერის განმავლობაში საფრანგეთის ერთმა ამხანაგობამ იკისრა.

**იტალია.** კავალოტის მოკვლის ამბავმა იმდენად აღელვა მთელი იტალია, რომ იტალიის პალატის დეპუტატებმა ის აზრი წარმოსთქვეს, რომ საჭიროა ბრამლდებელს უფლება მიენიჭოს სამართალში მისცეს დეპუტატები მაკოლა, დონატი, ფუზინატო და ტასსი კავალოტის დუელში მონაწილეობის მიღებისათვისაო.

---

# დამაკვირდი

ჭეშმარიტ წინასწარმეტყველთ ხანდახან ჰყავთ ხოლმე გულ მოდგინე თაყვანისმცემელნი, ცრუ-წინასწარმეტყველთ-კი — ყოველთვის.

მარიამ ებნერ-ეშენბახისა

* * *

ლოცვასა უნდა იტყოდეს არა მარტო ბაგენი შენი, არამედ ყოველი აზრი და ფიქრი.

რუკკერტი

* * *

ბჭეთა ზედა მამხილებელი მოიძულენ, ხოლო მეტყველთა მმართული სიკვდილი ...

წმ. დავით აღმაშენებელი

---

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ერთს გერმანულს ჟურნალში დაბეჭდილია შემდეგი სცენა:

სასამართლოში ირჩევა საქმე ვილაც გორგონ-ზოლასი, რომელიც ღამე სახლში მოდენილა, შეხვედრია ერთს ქალს მარიანნას და უწყენებია იმის გამო, ვითომ საბუთის ქაღალდები მომპარაო. მოწმედ დაბარებულია პატრი დე ფლამი (პატი-დე-კლამ). მოსამართლე ჰკითხავს ბრალდებულს:

— რამდენი წლისა ხართ?

მ ო წ მ ე. ეგ ჩემი საკუთარი საიდუმლოებაა.

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. რომელ სარწმუნოებას აღიარებთ?

მ ო წ მ ე. ეგ სარწმუნოების საიდუმლოებაა.

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. თქვენა და ბრალდებულს ნათესაობა რამ ხომ არა გაქვთ ერთმანერთში?

მ ო წ მ ე. ეგ ოჯახობის საიდუმლოებაა.

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. რა მოხელე ხართ?

მ ო წ მ ე. ეგ სამსახურის საიდუმლოებაა.

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. ბრალდებულთან სამსახურის გამო ხომ არავითარი საქმე არა გქონიათ?

მ ო წ მ ე. ეგ სახელმწიფო საიდუმლოებაა.

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. რედაქციის ერთს თანამშრომელს ხომ არაფერი უთქვამს თქვენთვის ამ საქმის შესახებ?

მ ო წ მ ე. ეგ რედაქციის საიდუმლოებაა.

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. ხომ არაფერი იცით იმ წერილებისა, ბრალდებულს რომ მიუღია.

მ ო წ მ ე. ეგ ფოსტის საიდუმლოებაა.

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. ქ-ნ მარიანასთან ხომ არავითარი კავშირი არა გქონიათ?

მ ო წ მ ე. ეგ საყვარლების საიდუმლოებაა.

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. ბრალდებულს ხომ თქვენთან არაფერი ულაპარაკნია, მღვდელს რა უთხარიო აღსარების დროს.

მ ო წ მ ე. ეგ აღსარების საიდუმლოებაა.

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. გადამიწყვეტია თქვენთვის 14 დღით ციხეში დაპატიმრება.

მ ო წ მ ე. რადა, ბატონო მოსამართლევ.

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. ეგ ჩემი საიდუმლოებაა!

* * *

გაზეთ „ნოვ. ვრემ.“ დეპეშითა სწერენ ვენიდგან:

ერთს სოფლის მასწავლებლად მყოფს ივანე სტეპანიკს გამოუგონია ახალი მანქანა, რომლისთვისაც სახელად უწოდებია ტელექტროსკოპი. ამ საოცარის მანქანის აწერა მეტად ძნელია. აქ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ეს მანქანა ტელეფონსა ჰგავს და ისეა მომართული, რომ იმის შემწეობით კაცს შეუძლიან დაინახოს ყველაფერი, რაც-კი ძლიერ დიდს მანძილზედ ხდება, სარკეების შემწეობით. ამბობენ, რომ ეს მანქანა უყიდნია პარიჟის გამოფენისათვის ერთს სააქციონერო ამხანაგობას. გამოფენის დროს ადამიანს შეეძლება დაინახოს საფრანგეთის ჯარისა და ფლოტის აღლუმები, რომელიც პარიჟიდგან დიდს მანძილზედ იქმნება.

---

## სასამართლოს მატიანე

თათუზ მჭედლოვის საქმე

გუშინ წინ, 13 მარტს, ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე ტფილისის მცხოვრების თათუზ მჭედლოვისა, რომელსაც ბრალდებოდა განზრახვა დედა-კაცის ანნა რუეპეცკის მოკვლისა. ეს საქმე შარშან მოხდა, 4 დეკემბერს. თათუზა მჭედლოვი შესულა ლუდხანაში და უნახავს, რომ ანნა რუეპეცკისა და საქულა ქაშაშვილი ლუდსა სვამენ. ნახევარ საათის შემდეგ თათუზა მჭედლოვმა ამოიღო დანა ჯიბიდგან და მუცელში დაჰკრა დედაკაცს. მერე თითონ წავიდა პოლიციაში თვისი დანაშაული განაცხადა და დასძინა, ძლიერ აღელვებული ვიყავი, როცა ეს დანაშაული ჩავიდინე, რადგანაც წინა დღეს დავრწმუნდი, რომ ანნა რუეპეცკისამ მიღალატა და სხვაზედ გამცვალაო.

ოლქის სასამართლომ მჭედლოვი დამნაშავედა სცნო და მიუსაჯა ყოველსავე უფლებათა ახდა და პატიმართა განყოფილებაში გაგზავნა წელიწად-ნახევარის ვადით.

---

## შემოწირულება

ჩვენ მოგვივიდა სიღნაღის მაზრის სოფ. ბაკურციხიდგან თავ. დ. კ. ჩოლოყაშვილისაგან ერთი თუმანი სათავად-აზნაურო სკოლისათვის შენობის ასაგებ ფონდის სასარგებლოდ. ეს ფული დანიშნულებისამებრ გარდავეცით.

---

## კონცერტის ანგარიში

წერილი რედაქციის მიმართ

იმ კონცერტიდგან, რომელიც იყო გამართული 21 ქრისტეშობისთვეს წარსულის 1897 წ. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ სასარგებლოდ, შემოვიდა: დანუმრულის ბილეთების გაყიდვიდგან 991 მან. 20 კ., შესასვლელის ბილეთებისა 78 მ. 30 კ. და შემოწირულობა 40 მან., სულ 1109 მან. 50 კ.

კონცერტის გამართვისათვის დაიხარჯა: ტფილისის კლუბის დარბაზის ქირა 100 მან., მარკები ბილეთებისათვის 54 მან. და 20 კ., განცხადება და აფიშები 26 მან. 30 კ, მუსიკა და დუდუკი 40 მან., გადატან გადმოტანა და გამართვა როიალისა 16 მან., თაიგულები 15 მან., კოტილიონის კუთხნილებანი 6 მან., ბუფეტი 4 მან. 75 კ. და სხვა და სხვა 35 მან. 70 კ. სულ 297 მ. 95 კ. დარჩა წმინდა შემოსავალი — 811 მან. 55 კ.

საზოგადოების გამგეობა უღრმესს მადლობას უცხადებს კონცერტში მონაწილეობის მიღებისათვის ქ-ნ ე. გ. სარაჯევისას, თ. გ. დ. აბაშიძეს, გ. ლ. კელიჩკოს ლ. ფ. კნინას, ი. გ. კარგარეთელს, ი. ფ. სარაჯევს, თ. ა. რ. წერეთელს და კავსაძის და მჭედლიშვილის ხოროს. შემოწირულობისათვის კნ. მ. ალ. შარვაშიძისას, კნ. მ. ვ. ჯამბაკურ ორბელიანისას, კნ. რ. დ. მელიქიშვილისას, ე. მ. ჯაყელისას, კნ. ა. დ. გაგარინისას, კ. ი. ზუბალოვს და გ. ს. განმიელს. როიალის თხოვებისათვის ბ-ნს ფარინას და უსასყიდლოდ განცხადების დაბეჭდვისათვის „Кавказъ“-ის „ივერიის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციებს.

---

## „ივერიის“ ფოსტა

—

**ძ—ხი. ი. ბ—იას.** სამედიატორო ლექსი არ დაიბეჭდება.

**თანამგრძნობელს.** თქვენ მიერ გამოგზავნილს ხუთს ნაწყვეტში მხოლოდ ორი დაიბეჭდება — პირველი და უკანასკნელი.

**ნორჩს გ—ს.** თქვენს წერილს, სამწუხაროდ, ვერ დავბეჭდავთ.

**მუნდირს.** ველით წერილის პირს, რომელსაც ამას წინად გთხოვდით. თუნდა შეუმოწმებელიც იყოს, არა უჭირს-რა. „ერთის სომეხთაგანის“ წერილი გვინდოდა, მაგრამ ვერ დავბეჭდეთ.

**გოქაძეს.** არ დაიბეჭდება.

**ჭეშმარიტების მღაღადებელს.** ხელმოუწერელს წერილებს რედაქცია ავტორის ვინაობის უცოდინელად არა ჰბეჭდავს.

**ი. კალანდაძეს.** არ დაიბეჭდება.

**ძ. ძ—ისი. ფეიქაროვს.** თქვენი განცხადება ხუთჯერ არის დაბეჭდილი და არა სამჯერ. უბრალოდ გვისაყვედურებთ.

**ვინდამეს.** საბუთები გექმნებათ რამე, გამოგვიგზავნეთ.

---

## წერილი რედაქციის მიმართ

მადლობას ვუცხადებ დროებით სოფელ ბორბალოში მცხოვრებელს აზნაურ ზაქარია სპირიდონის ძეს რცხილაძეს, რომელმაც თავისის ხარჯით სასოფლოდ წყლის ნავი გამართა.

ვაშლოვანის საზოგადოების მამასახლისი სულხანა სულხანაშვილი

---


# განცხადებანი

ე. ფ. აუფერმანის

## მანქანათა საწყობი



ტფილისში

აცხადებს, რომ ბერლინის გ. ფ. ეკკერტის ქარხნისა და ოდესის ი. ი. გენის ქარხნის ფოლადის გუთნები ამ სეზონში გაიყიდება

ქალაქ სიღნაღში

ამირან სერგეის ძე შავერდოვთან შავერდოვის ქარვასლაში, ზემო ბაზარში. (10—39—10)

---

## ვყიდულობ

ყოველ გვარს ძველებურს ნივთებს სპილენძისასა, თითბრისასა, ვერცხლისასა, ოქროსასა, ძველთა დროს ხელოვნურად მინანქრით ნამუშევარა და აგრეთვე ოქრომკედით ნაკერულობასა.

ფოტოგრაფი ა. ს. როინაშვილი.

(წ.)

---

ცნობილ ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

ბ. მ. მირიმანიანისა

музыкальное депо Б. М. МИРИМАНЯНА.

Тифлисъ. Дворцовая ул.

(24—6.—2)

---

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაო საცნობელად, რომ 24 მარტს, ნაშუადღევის 1 საათზედ, გამგეობის დარბაზში **საჯარო ვაჭრობაა** დანიშნული. იჯარით გაიცემა ქალაქის ის დუქნები და სარდაფები, რომლებიც კრეინის მოედანზეა.

დაწვრილებით პირობების შეტყობა შეიძლება ქალაქის გამგეობაში მუდამ დღე, უქმე დღეებს გარდა, დღის 12 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (3—6.—2).

---

## ისყიდება

ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა სურათები აბრეშუმისა, ფარჩასა და ატლასზედ გადაღებული, აგრეთვე თამარის სურათი სხვა-და-სხვა გვარად გადაღებული ფანჯრის ფარდებისა, შირმებისა და ბალიშებისათვის, ღირს 2—3 მანეთამდე, ლამპრის საფარებელი — 2—3 მან., აბრეშუმის ხელსახოცები — 60—80 კ., დიუჟინობით ნაკლებ, წიგნში ჩასადები ლენტები ღირს 30—50 კაპ., აგრეთვე ლენტები პორტფელისათვის 50 კაპ. მსურველთ შეუძლიანთ იყიდონ ან გამოიწერონ ტფილისიდგან. სემენოვის ქუჩა, სახლი ხეჩუმოვისა № 13, ა. რადიონოვისაგან. (5—6.—3)

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია . . . . . . | „ | 20 |
| მოლიპულ გზაზე, მოთხრობა . . . . . | 1 | „ |
| მთიულეთი ალ. ფრონელისა . . . . | „ | 70 |
| მოსავლის მცველნი გოგებაშვილისა . . . . | „ | 20 |
| ბიროემანსი. კარგარეთელისა . . . . . . | 1 | „ |
| ყვავილთა შორის საყმაწვილო წიგნი სურათებით, მშვენიერის ყდით . . | 1 | „ |
| ამბავი ცხოველთა სამეფოსი. სურათებით და მშვენიერის ყდით . . . | 1 | „ |
| სურათი მეფე ერეკლესი ყმაწვილობის დროს . | „ | 25 |
| კანვაზე საკერი ანბანი . | „ | 40 |
| ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . . | „ | 40 |
| ლექსები ანტონ ფურცელაძისა ფასი . . . . | „ | 40 |
| ვეფხვის ტყაოსანი სურათებიანი მშვენიერის ყდით | 10 | „ |
| ქ. ნიკოლაძის ნაწერები . | „ | 30 |
| კეთილი ძაღლი . . . . | „ | 20 |
| თხზულ. მამია გურიელისა | 1 | „ |
| ქრონიკები თ. ჟორდანიასი | 3 | „ |
| ისტორიული ნარკვევი, ალ. ჰყონიასი . . . . . | 1 | 50 |
| ნ. ნიკოლაძე. ბიოგრაფია | „ | 20 |
| აკაკი წერეთელი. ბიოგრაფია . . . . | „ | 15 |
| ილია ჭავჭავაძე ბიოგრაფია. | „ | 20 |
| ამირან-დარეჯანიანი . | 1 | „ |
| ჩვენი ახალი მწერლობა საღარაძისა . . . , | „ | 40 |
| ბუნება და ცხოვრება ი. ალხაზიშვილისა . . . | „ | 60 |
| გედები. საყმაწვილო წიგნი | „ | 20 |
| პარტახი მოთ. ნინოშვილისა . . . . . . | „ | 20 |
| ორი ეტიუდი . . . . . | „ | 20 |
| როგორა ცხოვრობდენ ადამიანები ძველად . . | „ | 25 |
| სახალხო ლექსები და ლეგენდები . . . | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . . | 1 | „ |
| საქართველოს ისტორია მ. ბროსესი . . . . . | „ | 70 |
| მეფე გიორგი ბრწყინვალე, ურბნელისა . . . . . | „ | 20 |
| ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე. | „ | 25 |
| ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე | „ | 50 |
| თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა. . . . . | „ | 15 |
| სვიმონ მეფე, მისივე . . | „ | 10 |
| როსტომ მეფე, მისივე . | „ | 10 |
| Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности проф. А. Цагарели. I выпускъ . . | 1 | 25 |


---